

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----3

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება-----4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----6-17

**შპს „კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრისათვის**

	შენიშვნები	2019	2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	90,676	61,912
სავაჭრო მოთხოვნები	4	149,813	72,831
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		83,870	-
მარაგები		65,405	69,788
- მზა პროდუქცია		65,405	69,788
- სხვა			-
სხვა მიმდინარე აქტივები	5	4,525	4,525
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	1,107,096	988,468
სულ აქტივები		1,501,385	1,197,524
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		121,780	104,619
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		36,928	22,723
საგადასახადო ვალდებულებები			42,372
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	7		-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	7	558,586	607,880
სულ ვალდებულებები		717,294	777,594
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		116,000	116,000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		668,091	303,930
სულ საკუთარი კაპიტალი		784,091	419,930
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,501,385	1,197,524

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

**შპს „კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC " 2019 წ 31 დეკემბრის
დასრულებული წლის სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების
ანგარიშგება**

	შენიშვნები	2019
ამონაგები	8	3,680,909
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	(2,024,005)
საერთო მოგება		1,656,904
სხვა შემოსავალი	10	16,746
კომერციული დანახარჯები	11	(333,791)
ადმინისტრაციული ხარჯები	12	(821,466.87)
სხვა ხარჯები	10	(29,018)
ფინანსური დანახარჯები	13	(31,453)
მოგება დაბეგვრამდე		457,921
მოგების გადასახადის ხარჯი		(12,229)
მიმდინარე წლის მოგება		445,692
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		303,930
დივიდენდები		(81,531)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		668,091

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

შპს „კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC“
2019 წლის 31 დეკემბრისათვის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების
ანგარიშგება

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	116,000	303,930	419,930
წმინდა მოგება	-	445,692	749,622
სხვა სრული შემოსავალი	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	445,692	445,692
გაცემული დივიდენდი	-	81,531	81,531
საწესდებო კაპიტალის ზრდა	0	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	116,000	668,091	784,091

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა წლის 27 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია 2007 13 მარტიდან დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 202377178. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მარჯანიშვილის ქ. N42; კლინიკა ფუნქციონირებს ქ. თბილისი პეკინის ქ. #5-ში.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სპეციალიზებული სამედიცინო პრაქტიკის საქმიანობები, კომპანია დღგ-ის გადამხდელსა წარმოადგენს.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის კომპანიის წილის მფლობელები არიან:

- 75.5% - პროფესორი ივანე კუზანოვი (პ/ნ 01030003950);
- 24.5% - ალექსანდრე კუზანოვი (პ/ნ 01030003391).

კომპანიის დირექტორია ავთანდილ ტულუში.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 116 000 ლარს.

2019 წლის 31 დეკემბრისა კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 57 ადამიანი, ხოლო 2019 წლის 1 იანვრისთვის 57 ადამიანი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრს, კომპანიის წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2019 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2019 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2019 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3,2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად,
ხორციელდება ჩვეულებრივისაკრედიტოპირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტ
იარერიცხება. იმ შემთხვევაში,
როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს,
მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ექტურისა პროცენტო განაკვეთის
მეთოდით.
ყოველისა ანგარიშგებოპერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო
ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური იმტკიცებულებები იმისა,
რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი იმტკიცებულების არსებობის შემთხვევაში,
გაუფასურების ხარალი და უყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ხარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და
ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს
შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და
დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა
პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
მიწა	უვადო
სამედიცინო აპარატურა და სამედიცინო დამხმარე ინვენტარი	8
ოფისის აღჭურვილობა	5
სამედიცინო ინსტრუმენტი და დამხმარე სხვა ინვენტარი	4
ოჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	6
არამატერიალური აქტივები	0
სატრანსპორტოსაშუალებები	7

სავაჭროვალდებულებები

სავაჭროვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივის აკრედიტოპირობებით აღებული ვალდებულებების დაპროცენტიარერიცხება.

საანგარიშგებოპერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახულის ავტომატურად აღებული ვალდებულებები და ანგარიშდება საწარმოს ფულადერთეულში,

საანგარიშგებოთარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით.

საკურსოსხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილი იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან.

კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ

მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი,

მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა.

შენიშვნა 3 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
ლარში		
ფული სალაროში	8207	8043
ფული საბანკო ანგარიშებზე	82469	53869
სულ ჯამი	90676	61912

**შენიშვნა 4-
სავაჭრო
მოთხოვნები**

	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
ლარში		
	149,813	72,831
სულ ჯამი	149,813	72,831

**შენიშვნა 5-სხვა
მიმდინარე
აქტივები**

	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
ლარში		
	4,525	4,525
სულ ჯამი	4,525	4,525

შენიშვნა 6- ინფორმაცია

შპს „კუზანოვისკლინიკა Kuzanov clinic LLC" ძირითადი საშუალების თაობაზე

ინფორმაცია ძირითად საშუალებაზე	პერიოდის საწყისი მონაცემები				პერიოდში განხორციელებული ცვლილებები										პერიოდის ბოლოს მონაცემები			
					შემოსავალი			გასავალი			ცვეთა							
					შესყიდვა	გადახდა	გადახდა	გადახდა	გადახდა	გადახდა								
დასახელება	რაოდ.	დირექტ.	აკუმულ.	ნარჩენი	რაოდ.	დირექტ.	კაპიტალ.	რ.	ლ.	რ.	ლ.	გ.	მიმდინ.	რაოდ.	დირექტ.	აკუმულ.	ნარჩენი	
მიწა		604953	0	604953			28650.3								633603	0	633603.3	
სამედიცინო აპარატურა და სამკურნალო ოფისის ალკურვილოზ		233774	102458	131316		36020.3							18411.4		269794	120869.4	148924.9	
სამედიცინო ინსტრუმენტი		17553.5	9765.6	7787.9		5936.92							2485.91		23490.4	12251.51	11238.92	
იჯარით აღებული საშუალებები		134777	77468.4	57308.6		44898							12045.8		179675	89514.16	90160.84	
არამატერიალ ური აქტივები		75000		75000											75000	0	75000	
საშუალებები				0		16785							1598.58		16785	1598.58	15186.42	

ჯამური მონაცემები **1199514** **211046** **988468** **0** **148538** **28650.3** **0** **0** **0** **0** **0** **58560.8** **0** **1376702** **269606.3** **1107096**

შენიშვნა 7-სესხები ფინანსური ინსტრუმენტები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
ლარში		
ჯამი	558,586	607,880
	558,586	607,880

შენიშვნა 8
ამონაგები

	2019 წ.	2018 წ.
ლარში		
სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	3680909	3279350

შენიშვნა 9 -რელიზებული პროდუქციის
თვითღირებულება

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი
მზაპროდუქცია , ნედლეულიდამასალები	183,801
ანალიზების ხარჯი	10630
ოპერაციის შემდგომი ხარჯები	29099.12
ექიმებისა და მედ.პერსონალის ხელფასი	1,800,475
ჯამი	2,024,005

შენიშვნა 10 -სხვა შემოსავალი; სხვა ხარჯები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი
კუსთაშორის დადებითი სხვაობა	16,746
კუსთაშორის უარყოფითი სხვაობა	-29,018

შენიშვნა 11 -კომერციული დანახარჯები

		ლარი
რეკლამა		333,791

შენიშვნა 12 -ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი

ადმინისტრაციის ხელფასი	383,091
კომუნალური	37,597
კომუნიკაციის ხარჯები	9,847
სამეურნეო და მიმდ რემონტის ხარჯი	61,948
სანიტარული ხარჯები	31,348
ბანკის საკომისიო ხარჯი	12,797
საკანცელარიო	14,313
დაზღვევა	15,432
ცვეთა ამორტიზაცია	58,561
საიჯარო ქირა	179,400
სამივლინებო ხარჯი	17,133
	821,467

შენიშვნა 13 -ფინანსური დანახარჯები

ლარი

საპროცენტო ხარჯები

31,453

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად
დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი